თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6693164

ნომერი: AR1992380

თარიღი : 28.09.2023

გაცემის თარიღი : 04.10.2023

გაცნობის თარიღი : 04.10.2023

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ევროპის ქუჩა, N 6გ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სიხარულიძე პ/ნ 01024024502
- თბილისი საბურთალოს ქ. N 44 ბ. 39

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ღანდშაფტური მშენებლობა
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ლანდშაფტური მშენებლობა გულისხმობს სკვერის, ბაღის, პარკის, ბულვარის მშენებლობას ან/და მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობას, აგრეთვე ნარგავების, გაზონებისა და სხვა მცენარეული საფარის მოწყობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოები არ წარმოადგენს ლანდშაფტურ მშენებლობას, წარმოდგენილი დოკუმენტაციით არის მიწის მოსწორება, ამასთან არ შედის საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255-ე დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობებით განსაზღვრულ იმ ობიექტთა/სამშენებლო სამუშაოთა ნუსხაში, რომელთა მშენებლობა, მონტაჟი/დემონტაჟისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაიცემა მშენებლობის ნებართვა ან წერილობითი დასტური, აღნიშნული ვერ იქნება განხილული როგორც მშენებლობის ერთ-ერთი სახეობა, ასევე კანონმდებლობით დაშვებული ობიექტის შესაბამისად მასზე რაიმე სახის ნებართვის გაცემა ცდება სამსახურის უფლებამოსილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.